

შპს „მირა“

ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოთათვის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-15

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	700	-
სავაჭრო მოთხოვნები	5	557852	-
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	6	324064	-
მარაგები	8	1527230	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	248571	-
სულ მიმდინარე აქტივები		2658417	-
გრძელვადიანი აქტივები			
სხვა არამატერიალური აქტივები	10	692	-
ძირითადი საშუალებები	9	275453	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		276145	-
სულ აქტივები		2934562	-
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			-
სავაჭრო ვალდებულებები	11	6113	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2942	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		2519572	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2528627	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	238889	-
გადასახდელი პროცენტი	12	11740	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		250629	-
სულ ვალდებულებები		2779256	-
საკუთარი კაპიტალი	13		
საწესდებო კაპიტალი		-	-
დაგროვილი (ზარალი)/მოგება		155306	-
სულ საკუთარი კაპიტალი		155306	-
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2934562	-

შპს „მირა“-ს
 დირექტორი: რუსუდან მაღრაძე

2019 წლის 27 სექტემბერი

შპს „მირა“
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
 მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი

	შენიშვნა	2018
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	14	15943269
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(15581967)
საერთო მოგება		361302
დასაქმებულთა ანაზღაურება		(45925)
ცვეთა და ამორტიზაცია		(21758)
საპროცენტო ხარჯები		(11740)
იჯარის ხარჯი		(130623)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(33795)
სულ საოპერაციო ხარჯები		(243841)
საოპერაციო მოგება		117461
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები (ნეტო):		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	17	33387
წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან		4458
წლის მოგება(ზარალი) მოგების გადასახადამდე		155306

შპს „მირა“-ს
 დირექტორი: რუსუდან მაღრაძე

2019 წლის 27 სექტემბერი

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი (ზარალი)/მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-
მოგება (ზარალი) და სხვა სრული მოგება (ზარალი) წლის განმავლობაში	-	155306	155306
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	155306	155306

შპს „მირა“-ს
დირექტორი: რუსუდან მაღრაძე

2019 წლის 27 სექტემბერი

ლარი

	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	17948833
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(17615187)
სხვა	(259189)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	74457
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(309035)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(309035)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	290360
სესხის ძირის გადახდა	(51471)
დივიდენდების გადახდა	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	238889
წმინდა ფულადი სახსრების გასვლა წლის განმავლობაში	4311
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(3611)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	700

შპს „მირა“-ს
დირექტორი: რუსუდან მაღრაძე

2019 წლის 27 სექტემბერი

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „მირა“-ს (შემდგომში „კომპანია“) 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის. კომპანია წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2018 წლის 21 თებერვალს. მისი საიდენტიფიკაციო კოდია 402077319, იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, წინამძღვრიშვილის ქუჩა №107, ბინა №6, ხოლო ეკონომიკურ საქმიანობას კომპანია ეწევა შპს „დაბი გრუპ ჯორჯიასაგან“ იჯარით აღებულ ფართში რუსთაველის გამზ. 29, თბილისში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა იმპორტირებული საქონლით, კერძოდ ძვირფასი ბრენდების საათებითა და საიუველირო ნივთებით საცალო ვაჭრობა.

კომპანიის მფლობელების სტრუქტურა შემდეგია:

მფლობელები	ამ ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად ნების დართვის თარიღისთვის, %	2018 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობილი წილი, %	2018 წლის 1 იანვრისთვის ფლობილი წილი, %
დიმიტრი მაკაროვ	33,34%	33,34%	-
მიხეილ ვესტფრიდ	33,33%	33,33%	-
თემურ მამაიხანოვ	33,33%	33,33%	-
	100 %	100 %	100 %

კომპანიის დირექტორი: რუსუდან მაღრაძე (პ/ნ 35001051646).

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად პირველად, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ვინაიდან კომპანია დარეგისტრირდა და არსებობს 2018 წლის 21 თებერვლის თვიდან, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მხოლოდ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის მონაცემებს შესაბამისი ინფორმაციის გარეშე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ამონაგები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობების და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სარეალიზაციო ნივთი უნდა იყოს სპეციალური წესით შეფუთული შესაბამისი სასაჩუქრე ნივთთან ერთად, რაც გათვალისწინებულია სარეალიზაციო ფასში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისათვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის თვითღირებულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების გზით და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებაში. სასარგებლო მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ ძირითადი საშუალება ექვემდებარება ჩამოწრას.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა აღჭურვილობა - 20%
- კომპიუტერული ტექნიკა და კავშირგაბმულობის საშუალებები - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარი აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% იჯარით გათვალისწინებული

ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი, ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, მათი აღრიცხვა ხდება ცალ-ცალკე (მთავარი კომპონენტები), როგორც აღნიშნული აქტივის ძირითადი კომპონენტები.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო წელს და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგება ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

ამორტიზაცია ზოგადად აღიარდება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით არამატერიალური აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც ისინი არიან მზად გამოყენებისათვის. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ

მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო წელს და კორექტირდება საჭიროებისამებრ.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ხელშეკრულებით არსებითად ყველა რისკი და სარგებელი იჯარით აღებულ ქონებაზე რჩება მფლობელთან. აქედან გამომდინარე, კომპანიამ განსაზღვრა, რომ იჯარა საოპერაციოა.

ჩვეულებრივი საიჯარო გადასახდელები აღიარებულია მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის პირობების შესაბამისად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლისგან მისაღები თანხებით წარმოშობილი, როგორც საქონლის ადგილობრივი მიწოდებიდან, ასევე განხორციელებული რეექსპორტიდან.

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ზარჯი შესაბამისად აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომხმარებლებისათვის გადასახდელი თანხები, ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ, მიღებული ავანსები.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი შესაბამისად აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯებს;
- უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგებას ან ზარალს.

სესხთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით სამუშაო ვალუტაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები გაყიდვების თანამშრომელთათვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსების ჯამს, ხოლო ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისათვის თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

3. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოადგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს კრიტიკული მსჯელობები გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს დაშვებებთან და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც წარმოშობს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ნაღდი ფული	53	-
ფულადი სახსრები ბანკებში	647	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	700	-

5. სავაჭრო მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სავაჭრო მოთხოვნები ადგილობრივ მომხმარებლებზე	33859	-
სავაჭრო მოთხოვნები უცხოელ მომხმარებლებზე	523993	-
	557852	-

6. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლი

ლარი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გადახდილი ავანსები ადგილობრივ მომწოდებლებთან	61	-
გადახდილი ავანსები უცხოელ მომწოდებლებთან	255561	-
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	68442	-
	324064	-

გადახდილი ავანსები მოიცავს წინასწარ გადახდილ საიჯარო ქირასა და წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით.

7. სხვა მიმდინარე აქტივები

ლარი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მიმდინარე სასესხო მოთხოვნები		
საგადასახდო აქტივი	248115	-
სხვა მიმდინარე აქტივები	456	-
	248571	-

საგადასახდო აქტივის წარმოქმნა გამოიწვია იმპორტის დროს ბიუჯეტში გადახდილმა დღგ-მ.

8. მარაგები

ლარი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მზა პროდუქცია	1515073	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები (შესაფუთი, სარეკლამო)	12157	-
	1527230	-

მზა პროდუქცია არის გასაყიდად განკუთვნილი იმპორტირებული საქონელი (მვირფასი ბრენდის საათები და საიუველირო ნივთები).

ასევე კომპანიაში საგამოფენო მიზნით წარმოდგენილია დროებითი იმპორტის რეჟიმში მოქცეული საქონელი. პოტენციური კლიენტის არსებობის შემთხვევაში, დროებითი იმპორტის რეჟიმში მოქცეული საქონელი მხარეთა შეთანხმებით რეალიზაციას ექვემდებარება მას შემდეგ, რაც საქონელი გადავა იმპორტის რეჟიმში, განბაჟდება და ბიუჯეტში გადახდილი იქნება შესაბამისი გადასახადები. განბაჟებული საქონელი ერთვება კომპანიის მარაგების შემადგენლობაში, ხოლო რეალიზაციის თანხა-ამონაგებში.

ლარი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დროებითი იმპორტის რეჟიმით შემოტანილი საათები და საიუველირო ნივთები	566001	-
	566001	-

9. ძირითადი საშუალებები

ლარი	კომპიუტერული ტექნიკა და კავშირგაბმულობის საშუალებები	ავეჯი და სხვა აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება ან ნარჩენი ღირებულება				
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
შესყიდვები	3740	211855	81563	297158
გასვლები	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3740	211855	81563	297158
ცვეთა				
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
ცვეთა წლის განმავლობაში	328	16280	5097	21705
გასვლები	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	328	16280	5097	21705
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 1 იანვარს	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერს	3412	195576	76465	275453

10. არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
შესყიდვა	745	745
დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი		
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	53	53
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	53	53
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2018 წლის 1 იანვარს	-	-
2018 წლის 31 დეკემბერს	692	692

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2942	
სავაჭრო ვალდებულება ადგილობრივ მომწოდებელთან	6113	
მიღებული ავანსი (გამოუმუშავებელი შემოსავალი)	2519572	-
	2528627	-

მიღებული ავანსი (გამოუმუშავებელი შემოსავალი) არის არარეზიდენტი იურიდიული პირისგან მიღებული თანხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების მიზნით. ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ მიღებული ავანსის (გამოუმუშავებელი შემოსავლის) დარჩენილი ნაწილი განიხილება სასესხო ვალდებულებად.

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება

ლარი		
2018 საანგარიშგებო წლის განმავლობაში:		
სესხის აღება	290360	,
სესხის დაფარვა	(51471)	

ლარი	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება		
დამფუძნებლისგან მიღებული გრძელვადიანი სესხი	238889	-
	238889	-

საპრცენტო განაკვეთი: 10%, ვადა: 5 წელი.

13. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალში შენატანი კომპანიას არ გააჩნია.

14. შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

ლარი

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან, 18%-იანი დასაბეგრი ბრუნვა
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან (რეექსპორტი, დიპლომატიური
კორპუსის წარმომადგენელზე).

2018

69364

15873905

15943269

15. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ლარი

გაყიდული საქონლის თვითღირებულება

2018

(15581966)

-

(15581966)

16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ლარი

2018

დაცვის ხარჯი

(443)

კომუნალური ხარჯები

(1311)

ქონების გადასახადი

(1377)

სამეურნეო დანიშნულების ხარჯები

(924)

საბანკო ხარჯები

(6121)

ხარჯი დროებითი იმპ. რეჟიმის პროცედურებთან

(4353)

წარმომადგენლობითი ხარჯები

(6626)

საკანცელარიო და სხვადასხვა დამხმარე საოფისე ხარჯები

(164)

მივლინების ხარჯი

(3961)

სარეკლამო-საპრეზენტაციო ხარჯები

(8474)

სალაროს აპარატის სააბონენტო გადასახადი და სხვა

(41)

სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი

(33795)

17. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯი

ლარი	2018
მომწოდებლისგან მიღებული შემოსავალი მარკეტინგული აქტივობისთვის	49435
მომწოდებელზე გადახდილი დამატებით დარიცხული თანხა	(16049)
წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან	4458
სულ წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	37844
მომწოდებელზე გადახდილი დამატებით დარიცხული თანხა მოიცავს მოგების გადასახადს.	

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2018 წლის 27 სექტემბერს.

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	700	-
სავაჭრო მოთხოვნები	5	557852	-
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	6	324064	-
მარაგები	8	1527230	-
სხვა მიმდინარე აქტივები	7	248571	-
		2658417	
სულ მიმდინარე აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	10	692	-
სხვა არამატერიალური აქტივები	9	275453	-
ძირითადი საშუალებები		276145	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2934562	-
სულ აქტივები			
ვალდებულებები და კაპიტალი			-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	6113	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2942	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		2519572	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2528627	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	238889	-
გადასახდელი პროცენტი	12	11740	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		250629	-
სულ ვალდებულებები		2779256	-
საკუთარი კაპიტალი	13		-
საწესდებო კაპიტალი			-
დაგროვილი (ზარალი)/მოგება		155306	-
სულ საკუთარი კაპიტალი		155306	-
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2934562	-

შპს „მირა“-ს

დირექტორი: რუსუდან მალრაძე


2019 წლის 27 სექტემბერი

ლარი

	შენიშვნა	2018
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	14	15943269
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(15581967)
საერთო მოგება		361302
დასაქმებულთა ანაზღაურება		(45925)
ცვეთა და ამორტიზაცია		(21758)
საპროცენტო ხარჯები		(11740)
იჯარის ხარჯი		(130623)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(33795)
სულ საოპერაციო ხარჯები		(243841)
საოპერაციო მოგება		117461
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები (ნეტო):		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	17	33387
წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან		4458
წლის მოგება(ზარალი) მოგების გადასახადამდე		155306

შპს „მირა“-ს

დირექტორი: რუსუდან მაღრაძე



2019 წლის 27 სექტემბერი

შპს „მირა“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი (ზარალი)/მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-
მოგება (ზარალი) და სხვა სრული მოგება (ზარალი) წლის განმავლობაში	-	155306	155306
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	155306	155306

შპს „მირა“-ს
დირექტორი: რუსუდან მადრაძე



[Handwritten signature]

2019 წლის 27 სექტემბერი

ლარი

2018

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	17948833
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(17615187)
სხვა	(259189)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	74457
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(309035)
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(309035)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	290360
სესხის ძირის გადახდა	(51471)
დივიდენდების გადახდა	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	238889
წმინდა ფულადი სახსრების გასვლა წლის განმავლობაში	4311
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(3611)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	700

შპს „მირა“-ს

დირექტორი: რუსუდან მალრამე



2019 წლის 27 სექტემბერი